აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა კოლმეურნეობების მასობრივი კადრების მომზადებისა და კოლმეურნეთა აგროტექნიკური სწავლის მოსაწყობად, თვითეულ საკოლმეურნეო კლუბთან, ქოხ-საკითხეულოსთან უნდა შეიქმნას აგროტექნიკური სწავლების წრე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მომზადების ხარისხს. სწავლებაში ჩაბმულ უნდა იქნას სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატები, საშუალო სკოლების მასწავლებლები. უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების მეცნიერ მუშაკთა და მასწავლებელთა გაგზავნა კოლმეურნეობებში ლექციების წასაკითხავად. კოლმეურნეთა სწავლება იმისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული მოწინავეთა გამოცდილება, კოლმეურნეთა ფართო მასების კეთილნებად გადაიქცეს იგი. სწავლება ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული კოლმეურნეობათა ცხოვრებასთან და დაექვემდებაროს მთავარ ამოცანას — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

II

მჭს-ების მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წელს ტექნიკით უფრო აღჭურვილი ხვდებიან საგაზაფხულო თესვას, ვიდრე წარსულ წლებში. მნიშვნელოვნად იზრდება მანქანა-ტრაქტორთა პარკის სიმძლავრე. ტრაქტორების რაოდენობა 15-ძალიანი გამონაგარიშებით 1948 წლის გაზაფხულთან შედარებით 17 პროცენტით დიდდება, ბუთნებისა — 11 პროცენტით, კულტივატორებისა — 19 პროცენტით, სათესი მანქანებისა — 20 პროცენტით. წელს მჭს-ები ძირითად საბჭოთა კოხტრტქიის ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი ახალი მანქანების მნიშვნელოვან რაოდენობას: ნიადაგის გასაღრმავებელ ტრაქტორის სამკორპუსიან გუთნებს, ზამბარა-კბილებიან ფარცხებს, მარცვლეულ-პალახეულისა და კვადრატულ-ბუდეებად სათეს მანქანებს, სელის 44-მწკრივიან სათეს მანქანებსა და სხვ. მჭს-ების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს, რათა თავის დროზე მოამზადონ და უნარიანად გამოიყენონ ტექნიკა სოფლის მეურნეობაში.

ასრულებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას, 1948 წელს მჭს-ების მუშაკებმა მნიშვნელოვნად გაუუმჯობესეს მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენება, შეამცირეს მინდვრის სამუშაოთა ვადები და გააუმჯობესეს მათი ხარისხი. მჭს-ების სატრაქტორო ბრიგადებმა გეგმა შეასრულეს 104 პროცენტით, ნიადაგის ორმაგი დამუშავების გეგმა — 107 პროცენტით, ნიადაგის ღრმა გაფხვიერების გეგმა — 110 პროცენტით, ნიადაგის ზედაპირული დამუშავების გეგმა — 102 პროცენტით, ნიადაგის ფარცხვის გეგმა — 101 პროცენტით, ნიადაგის ბოკვერით დამუშავების გეგმა — 102 პროცენტით, ნიადაგის ბოკვერით ღრმა დამუშავების გეგმა — 104 პროცენტით, ნიადაგის ბოკვერით ზედაპირული დამუშავების გეგმა — 101

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მჭს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ

(გაგრძელება)

ოებისათვის მტს-ების დროულად მომზადების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის ხარისხისათვის მტს-ების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე ერთი თვით ადრე მაინც შეამოწმონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის თვითეული მტს-ის მზადყოფნა.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების მზადყოფნა შეფასებულ იქნას შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ა) ტრაქტორების, ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის რემონტის გეგმის შესრულება და ხარისხი და კორდამღებით გუთნების დაკომპლექტება;

ბ) საწვავი და საცხები მასალების შეზიდვის გეგმის შესრულება, ვარგისი სტაციონარული და მოძრავი ნავთის ტარისა და ჩასასხმელი ინვენტარით მტს-ების ნავთის ბაზებისა და სატრაქტორო ბრიგადების უზრუნველყოფა;

გ) ტრაქტორისტების, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირების, მემბმელების, აღმრიცხველ-ჩამსხმელების, მექანიკოსების, აგრონომებისა და ტყის აგრომელიორატორების კადრების მომზადებისა და დახელოვნების გეგმის შესრულება, მექანიზატორთა კადრების მომზადებისა და დახელოვნების ხარისხი;

დ) მოძრავი სარემონტო სახელოსნოების მომზადება და საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტებითა და სათადარიგო ნაწილების ანაწყობით მათი უზრუნველყოფა, ავტომანქანების მზადყოფნა და რემონტის ხარისხი და საჭირო ინსტრუმენტით სატრაქტორო ბრიგადების უზრუნველყოფა;

ე) კოლმეურნეობებთან მტს-ების მიერ ხელშეკრულებათა დადება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და მინდორსაცავი ტყის გაშენების სამუშაოთა შესასრულებლად;

ვ) სატრაქტორო ბრიგადების დაკომპლექტება, მათი მიჩენა კოლმეურნეობებისათვის, საწარმოო დავალებათა და გრაფიკ-მარშრუტების დაწესება სატრაქტორო ბრიგადებისათვის;

ზ) კოლმეურნეობათა აგროტექნიკური მომსახურების, შესაბამის კოლმეურნეობებში ნათესბალახიან თესლბრუნვაზე გადასვლის გეგმების და მინდორსაცავი ტყის გაშენების გეგმების დაწესება.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების მზადყოფნის შემოწმების შედეგთა შესახებ შედგენილ აქტი, რომელშიც შეფასებულ იქნას მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების მზადყოფნა, აღინიშნოს საგაზაფხულო თესვისათვის მტს-ების მომზადების ნაკლოვანებანი და დაწესდეს მათი აღმოფხვრის ვადები.

საგაზაფხულო თესვისათვის მტს-ების მზადყოფნის შემოწმების შედეგები განხილულ იქნას მტს-ების საბჭოებში.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საოლქო აღმასკომები მოვალენი არიან მოისმინონ მტს-ების დირექტორებისა და იმ მტს-ებისა და რაიონების რაიაღმასკომთა თავჯდომარეების ანგარიშები, რომლებიც ჩამორჩებიან საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა მომზადებაში, განაახორციელონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა თავის დროზე აღმოსაფხვრელად და საჭირო შემთხვევებში დააწესონ მინდვრის სამუშაობისათვის მტს-ების მზადყოფნის განმეორებითი შემოწმების ვადები.

მომავალ გაზაფხულზე საგაზაფხულო კულტურების თესვასთან ერთად სსრ კავშირის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში დიდი მუშაობა გაჩაღდება ქარდამცავი ტყის ზოლების გასაშენებლად. ამ სამუშაოთა შესრულებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით ახლადშექმნილ ტყესაცავ სადგურებს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან მიიღონ ზომები, რომ ყველა ტყესაცავი სადგური უზრუნველყოფილ იქნას სპეციალისტებისა და მუშების საჭირო კადრებით, საწარმოო და სასამსახურო შენობებით, ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით, რათა მათ შესძლონ საწარმოო საქმიანობა გააჩაღონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაობის პირველი დღეებიდანვე.

III

საბჭოთა მეურნეობების მზადება თესვისათვის

1949 წელს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები შარშანდელზე უფრო ორგანიზებულად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის.

1949 წლის 1 თებერვლისათვის ტრაქტორების საშემოდგომო-საზაფხულო რემონტის სახელმწიფო გეგმა ყვე-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ვორონეჟის ოლქის ლიპეცკის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თესლბრუნვათა მინდვრებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების განლაგების გეგმა და ძირითად აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა 1949 წლისათვის

(დეპონირებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ)

კულტურების მონაცვლეობა მინდვრის თესლბრუნვაში: პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები (მარცვლეული და პარკოსანი ბალახების ნარევთესლი); მეორე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები (მარცვლეული და პარკოსანი ბალახების ნარევთესლი); საგაზაფხულო ხორბალი; საბურველი და სათოხნი კულტურები; მოთესილი ანეული; საშემოდგომო ჭვავი; საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები; შემოდგომის ანეული, ნაკელით გაპოხერებული საშემოდგომო ხორბალი მრავალწლიანი ბალახების მითესვით.

კულტურების მონაცვლეობა საკვებ თესლბრუნვაში: პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები (პარკოსანი და მარცვლეული ბალახების ნარევთესლი); მეორე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები (პარკოსანი და მარცვლეული ბალახების ნარევთესლი); მესამე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები (პარკოსანი და მარცვლეული ბალახების ნარევთესლი); საგაზაფხულო ხორბალი; ძირხვენა მცენარეები, ერთწლიანი ბალახები; შერია მრავალწლიანი ბალახების მითესვით.

სახელმწიფო დავალება ნათესი ფართობების მიხედვით 1949 წლისათვის და მისი განლაგება თესლბრუნვებში

კულტურების დასახელება	ნათესი ფართობი 1949 წლის 1 იანვრისათვის	სახელმწიფო დავალება. ჰა ანგარიში			
		სულ განლაგება	მათ შორის მინდვრებში		
			მინდვრის თესლბრუნვაში	საკვები თესლბრუნვაში	თესლბრუნვის გარეშე მდებარე ნათესებში
მარცვლეული კულტურები—სულ	534	534	455	79	—
მათ შორის:					
საშემოდგომო	228	228	200	28	—
საგაზაფ. ხორბალი	151	151	100	51	—
შერია	100	100	100	—	—
ფეტვი	25	25	25	—	—
მეზუდე	10	10	10	—	—
ოსპი	5	5	5	—	—
თერო	5	5	5	—	—
სამარცვლე ცერცველა	10	10	10	—	—
ზეთოვანი კულტურები—სულ	25	25	25	—	—
მათ შორის:					
მზესუმზირა	25	25	25	—	—
ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და კარტოფილი—სულ	40	40	20	13	7
მათ შორის:					
კარტოფილი	33	33	20	13	—
ბოსტნეული და ბაღჩეული	7	7	—	—	7
საკვები კულტურები—სულ	332	332	205	127	—
მათ შორის:					
მრავალწლიანი ბალახები					
წარსული წლებისა	289	289	205	84	—
ერთწლიანი ბალახები	28	28	—	28	—
საკვები ძირხვენები	10	10	—	10	—
სასილოსე მცენარეები	5	5	—	5	—
სულ ნათესი	931	931	705	219	7
შემოდგომის ანეული	59	59	59	—	—
ადრეული ანეული	141	141	141	—	—
მოთესილი ანეული	28	28	—	28	—
საშემოდგომო ნათესი 1949 წელს	228	228	200	28	—
მრავალწლიანი ბალახების მიმდინარე წლის საფარკვეშა ნათესი	123	123	100	23	—
მინდორსაცავი ტყის ზოლები	7,5	7,5	7,5	—	—

ნათესების განლაგება მინდვრის თესლბრუნვაში

მინდვრის №№ ფართობის ჰექტ.	ბრიგადის № და მიმაგრებული ნაკვეთის ფართობი	წინამორბედები: რით იყო დაკავებული	ფართობი ჰექტ.	ნათესი 1949 წელს: კულტურების დასახელება	მიღებული იქნას მოსავალი ცენტნ.: ფარ. ჰექტ.	1 ჰექტარზე	მთელ ფართობზე
I 100	ბრიგადა № 1-50 ჰექტ.	შერია	50	შემოდგომის ანეული	50	—	—
	ბრიგადა № 2-50 ჰექტ.	შერია	50	შემოდგომის ანეული	9	—	—
				ადრეული ანეული	41	—	—
II 100		საგაზაფხ. ხორბალი	26,5	შერია მრავალწლიანი ბალახების მითესვით	50	16	800
	ბრიგადა № 1-50 ჰექტ.	მზესუმზირა	12,5				
		მარცვლეულ.-პარკოსანნი	11,0				
	ბრიგადა № 2—50 ჰექტ.	საგაზაფხ. ხორბალი	8,5	შერია მრავალწლიანი ბალახების მითესვით	50	16	800
		ფეტვი	10,5				
		მზესუმზირა	12,5				
		სამარცვლე ცერცველა	18,5				
III 105	ბრიგადა № 1-52,5 ჰექტ.	საშემოდგ. ჭვავი მრავალწლიანი ბალახების მითესვით	52,5	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები სათესლედ	52,5	2,0	105,0
	ბრიგადა № 2-52,5 ჰექტ.	საშემოდგ. ჭვავი მრავალწლიანი ბალახების მითესვით	52,5	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები სათესლედ	52,5	2,0	105,0
IV 100	ბრიგადა № 1-50 ჰექტ.	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები თივად	50	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები სათესლედ	50	2,0	100
	ბრიგადა № 2-50 ჰექტ.	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათესლედ	50	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები სათესლედ	50	2,0	100
V 100	ბრიგადა № 1-50 ჰექტ.	მესამე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათესლედ და თივად	50	საგაზაფხ. ხორბალი	50	16	800
	ბრიგადა № 2-50 ჰექტ.	მესამე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები სათესლედ და თივად	50	საგაზაფხ. ხორბალი	50	16	800
VI 100	ბრიგადა № 1-50 ჰექტ.	ადრეული ანეული	50	საშემოდგ. ხორბალი	50	17	850
	ბრიგადა № 2-50 ჰექტ.	ადრეული ანეული	50	საშემოდგ. ჭვავი	50	17	850
VII 100	ბრიგადა № 1-50 ჰექტ.	საშემოდგ. ჭვავი	50	ადრეული ანეული	50	—	—
	ბრიგადა № 2-50 ჰექტ.	საშემოდგ. ხორბალი	27				
		საშემოდგ. ჭვავი	23	ადრეული ანეული	50	—	—
VIII 100	ბრიგადა № 1-50 ჰექტ.	ადრეული ანეული	50	საშემოდგ. ჭვავი	50	17	850
	ბრიგადა № 2-50 ჰექტ.	ადრეული ანეული	50	საშემოდგ. ჭვავი	50	17	850
IX 100	ბრიგადა № 1-50 ჰექტ.	საგაზაფხ. ხორბალი	50	კარტოფილი	10	140	1400
				მზესუმზირა	12,5	15	187,5
				ფეტვი	12,5	18	225
				პარკოსანნი	15	15	225
				კარტოფილი	10	140	1400
				მზესუმზირა	12,5	15	187,5
	ბრიგადა № 2-50 ჰექტ.	საგაზაფხ. ხორბალი	50	ფეტვი	12,5	18	225
				პარკოსანნი	5	15	75
				სამარცვლე ცერცველა	10	12	120

ნათესების განლაგება საკვებ თესლბრუნვაში

მინდვრის №№ ფართობის ჰექტ.	ბრიგადის № და მიმაგრებული ნაკვეთის ფართობი	წინამორბედები: რით იყო დაკავებული	ფართ. ჰექტ.	ნათესი 1949 წელს: კულტურების დასახელება	მიღებუი იქნას მოსავალი ცენტნ.: ფართ. ჰექტ.	1 ჰექტარზე	მთელ ფართობზე
I 28,0	ბრიგადა № 3-28 ჰექტ.	ბუნებრივი საძოვრები ქერი მრავალწლიანი ბალახების მითესვით	5	ბუნებრივი საძოვრები პირველი წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები თივად	5	—	—
			23		23	20	460
II 28,0	ბრიგადა № 3-28 ჰექტ.	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები	28	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები თივად	28	25	700
III 28,0	ბრიგადა № 3-28 ჰექტ.	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები	28	მესამე წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები საძოვრად	28	100	2800
IV 28,0	ბრიგადა № 3-28 ჰექტ.	მრავალწლ. ბალახები	28	საგაზაფხ. ხორბალი	28	16	448
V 28,0	ბრიგადა № 3-28 ჰექტ.	საგაზაფხ. ხორბალი	28	კარტოფილი	13	140	1820
				საკვები ჭარხალი	10	200	2000
				სასილოსე მცენარეები	5	150	750
VI 28,0	ბრიგადა № 3-28 ჰექტ.	კარტოფილი	28	ცერცველა—შერია თივად	28	20	560
VII 28,0	ბრიგადა № 3-28 ჰექტ.	ცერცველა—შერია თივად	12	საშემოდგ. ჭვავი	28	12	336
		ადრეული ანეული	16				
VIII 28,0	ბრიგადა № 3-28 ჰექტ.	საშემოდგ. ჭვავი	23	საგაზაფხ. ხორბალი მრავალწლ. ბალახების მითესვით	23	15	345
		მეორე წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები	5	მესამე წლის სარგებლობის მრავალწლ. ბალახები თივად	5	20	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი თესლბრუნვის მინდვრებში

მინდვრის თესლბრუნვა

მინდვრების №№	რით იქნება მინდორი დაკავებული 1949 წელს	ფართობი	ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი 1948 წელს	ფართობი	1949 წელს	ფართობი ჰექტარობით
I	შემოდგომის ანეული	59,0	1. მოხნულია წინასახნისიანი გუთნით 10-დან 13/X-მდე 20-22 სმ. სიღრმეზე.	59,0	1. შემოდგომის ანეულის საგაზაფხულო დაკაბღოება-დაფარცხვა. 2. შემოდგომის ანეულის ბოშვა და იმავე დროს ფარცხვა. 3. შემოდგომის ანეულში ნაკელის შეტანა და ჩახვნა. 4. შემოდგომის ანეულის სამი კულტივაცია და იმავე დროს ფარცხვა. 5. ადრეული ანეულის მოხვნა წინასახნისიანი გუთნებით 20-22 სმ სიღრმეზე და იმავე დროს ფარცხვა. 6. ადრეული ანეულის სამი კულტივაცია და იმავე დროს ფარცხვა.	59 59 20 59 41 41
	ადრეული ანეული	41,0				
II	შერია მრავალწლიანი ბალახების მითესვით	100,0	1. მზრალად მოხნულია წინასახნისიანი გუთნებით 20-დან 27/X-მდე 20-22 სმ სიღრმეზე.	69,0	1. თოვლშეკავება. 2 მზრალად მოხნულის საგაზაფხულო დაკაბღოება-დაფარცხვა. 3. მზრალად მოხნულის კულტივაცია და იმავე დროს ფარცხვა. 4. გაზაფხულზე მოხვნა წინასახნისიანი გუთნებით 20-22 სმ სიღრმეზე და იმავე დროს ფარცხვა. 5. შერიის დათესვა მწკრივად სათესი მანქანებით მრავალწლიანი ბალახების მითესვით.	100 69 69 31 100
III	სარგებლობის პირველი წლის მრავალწლიანი ბალახები	105,0	1. საშემოდგომო ბეავის საფარქვეშა თესვა 1-დან 18/IV-მდე.	105,0	1. თოვლშეკავება. 2. მრავალწლიანი სათესლე ბალახების დამატებითი კვება აღრე გაზაფხულზე 3. ნაწვერალის ნარჩენებისაგან გაწმენდა ცხენის ფოცხებით. 4. სათესლე ბოსტნისა და ნაზი ბაღჩის ორ-სამჯერადი დამატებითი დამტვერვა.	105 105 105 105
IV	სარგებლობის მეორე წლის მრავალწლიანი ბალახები	100,0	1. თოვლშეკავება. 2. ფარცხვა გაზაფხულზე 2 კვალად. 3 სამჯერ გამარგვლა.	100,0 100,0 100,0	1. თოვლშეკავება. 2. ჯვარედინი ფარცხვა გაზაფხულზე 2 კვალად. 3. ფუტკრის ოჯახე[illegible] გატანა სათესლე სამეურნეო დასამტვერებლად.	100 100 —
V	საგაზაფხულო ხორბალი	100,0	1. მზრალად მოხნულია წინასახნისიანი გუთნებით 4-დან 10/X-მდე 20-22 სმ სიღრმეზე.	100,0	1. თოვლშეკავება. 2. დაკაბღოება-დაფარცხვა აღრე გაზაფხულზე. 3. აზოტ-ფოსფორის სასუქების შეტანა. 4. თესვისწინა კულტივაცია და იმავე დროს ფარცხვა. 5. საგაზაფხულო ხორბლის ჯვარედინი თესვა.	100 100 100 100 100
VI	საშემოდგომო ხორბალი საშემოდგომო ბეავი	50,0 50,0	1. ანეული, მოხნულია წინასახნისიანი გუთნებით 31/V-დან 5/VI-მდე. 2. სამჯერადი კულტივაცია 20/VI-დან 20/VIII-მდე. 3. ბეავის თესვა, 23-დან 25/VIII-მდე, ხორბლისა 23/VIII-დან 6/IX-მდე.	100,0 100,0 100,0	1. თოვლშეკავება. 2. საშემოდგომო ხორბლის დამატებითი კვება. 3. ხორბლის ფარცხვა გაზაფხულზე 2 კვალად. 4. საშემოდგომო ბეავის დამატებითი დამტვერვა.	100 51.5 100 48,5
VII	ადრეული ანეული	100,0	—		1. ხვნა წინა ბოშვა. 2. წინასახნისიანი გუთნებით ხვნა 20-22 სმ სიღრმეზე და იმავე დროს ფარცხვა. 3. ანეულის სამ-ოთხჯერადი დამუშავება (კულტივაცია, ბოშვა).	100 100 100
VIII	საშემოდგომო ბეავი	100,0	1. ანეული, მოხნულია წინასახნისიანი გუთნებით. 2. სამჯერადი კულტივაცია. 3. თესვა მწკრივად სათესი მანქანით.	100,0 100,0 100,0	1 თოვლშეკავება. 2. დამატებითი დამტვერვა.	100 100
IX	კარტოფილი მხესოშნირა ფეტენი მუხუდო ოსპი თერო სამარცვლე ცერცველა	20,0 25,0 25,0 10,0 5,0 5,0 10,0	1. მზრალად ხვნა წინასახნისიანი გუთნებით 25 სმ სიღრმეზე. 2. მზრალად ხვნა წინასახნისიანი გუთნებით 20-22 სმ სიღრმეზე.	45,0 55,0	1. თოვლშეკავება. 2. დაკაბღოება-დაფარცხვა აღრე გაზაფხულზე. 3. მიწის თესვისწინა კულტივაცია მზესუმზირის, მარცვლეულ-პარკოსნებისა და ფეტვისათვის და იმავე დროს ფარცხვა. 4. კარტოფილის თესვა გუთნით მოხნულში ნაკლის შეტანით. 5 ფეტვის დასათესავად მეორე კულტივაცია და იმავე დროს ფარცხვა. 6. ფეტვის ფართო მწკრივებად თესვა. 7. მზესუმზირისა და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების თესვა.	100 100 80 20 25 25 80

საკვები თესლბრუნვა

მინდვრების №№	რით იქნება მინდორი დაკავებული 1949 წელს	ფართობი ჰექტ.	ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი 1948 წელს	ფართობი ჰექტ.	1949 წელს	ფართობი ჰექტ.
I	პირველი წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახების მითესვით ბუნებრივი სათივრები	23 5	1. ქერის თესვა მრავალწლიანი ბალახების მითესვით	23	1. თოვლშეკავება. 2. ნაწვერალის ნარჩენებისაგან გაწმენდა ცხენის ფოცხებით. 3. დაფარცხვა გათიბვის შემდეგ.	23 23 23
II	მეორე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები	28	1. ფარცხვა გაზაფხულზე 2 კვალად.	28	1. თოვლშეკავება. 2. დაფარცხვა გათიბვის და დამატებითი საკვების შეტანის შემდეგ.	28 28
III	მესამე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები	28	1. ფარცხვა გაზაფხულზე 2 კვალად	28	1. თოვლშეკავება.	28
IV	საგაზაფხულო ხორბალი	28	1. მზრალად მოხნულია წინასახნისიანი გუთნით 22-დან 25/IX-მდე. მოხვნის სიღრმე 20-22 სმ.	28	1. თოვლშეკავება. 2. დაკაბღოება-დაფარცხვა აღრე გაზაფხულზე. 3. თესვისწინა კულტივაცია და იმავე დროს ფარცხვა. 4. საგაზაფხულო ხორბლის თესვა.	28 28 28 28
V	კარტოფილი საკვები ჭარხალი სასილოსე მცენარეები	13 10 5	1. მზრალად მოხნულია წინასახნისიანი გუთნით 15-დან 19/IX-მდე. მოხვნის სიღრმე 20-22 სმ.	28	1. თოვლშეკავება. 2. დაკაბღოება-დაფარცხვა. 3. კარტოფილის თესვა გუთნით მოხნულში ნაკლის შეტანით. 4. მზრალად მოხნულის კულტივაცია. 5. საკვები ჭარხლისა და სასილოსე მცენარეების თესვა.	28 28 13 15 15
VI	ერთწლიანი ბალახები (ცერცველა—შვრია)	28	1. მზრალად მოხნულია წინასახნისიანი გუთნით 3-დან 7/X-მდე. მოხვნის სიღრმე 20 სმ.	28	1. თოვლშეკავება. 2. მზრალად მოხნულის დაკაბღოება-დაფარცხვა. 3. კულტივაცია და იმავე დროს ფარცხვა. 4. თესვა.	28 28 28 28
VII	საშემოდგომო ბეავი	28	მოთესილ ანეულზე	28	1. თოვლშეკავება. 2. დამატებითი კვება სასუქებით. 3. ფარცხვა 2 კვალად. 4. საშემოდგომო ბეავის დამატებითი დამტვერვა.	28 28 28 28
VIII	საგაზაფხულო ხორბალი მრავალწლიანი ბალახების მითესვით მესამე წლის სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები	23 5	1. მზრალად მოხნულია წინასახნისიანი გუთნით 10-დან 12/IX-მდე. მოხვნის სიღრმე 20-22 სმ.	23	1. თოვლშეკავება. 2. მზრალად მოხნულის დაკაბღოება-დაფარცხვა. 3. კულტივაცია და იმავე დროს ფარცხვა. 4. საგაზაფხულო ხორბლის თესვა სათესი მანქანებით.	28 23 23 23

კოლმეურნეობის გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე ჯიშიანი თესლის თესვა, თესლის გაადრეულება, თესლის შეწამლვა, მწკრივად სათესი მანქანებით თესვა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, ნათესების მოვლა, ნაწვერალის აოშვა და მზრალად ხვნა წინასახნისიანი გუთნებით და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ უხვი მოსავლის მიღებას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დავალებანი და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა ეცნობა თვითეულ რგოლს.

საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მფს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ

(დასასრული)

ლა. სისტემის საბჭოთა მეურნეობებში შესრულებულია 77,5 პროცენტით, მათ შორის სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში—79 პროცენტით. ტრაქტორების რემონტი მთლიანად დაამთავრა 272 საბჭოთა მეურნეობამ, მათ შორის როსტოვის მარცვლეულის ტრესტის ყველა საბჭოთა მეურნეობამ. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტს მალე დაამთავრებენ უკრაინის სსრ, კუიბიშევის, პენზის, ტამბოვის, ჩიტის ოლქებისა და თათრეთისა და უდმურტეთის ასსრ რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობები.

მომავალი საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მანქანა-ტრაქტორთა პარკის მომზადებას ავიანებენ უზბეკეთის სსრ, ყირიმის, გროზნის, კემეროვოს, სმოლენსკისა და ტიუმენის ოლქების საბჭოთა მეურნეობანი. ამასთანავე კრასნოიარსკის მხარის, სტალინგრადის, სარატოვისა და სხვა ოლქების ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში შემჩნეულია ცუდად შეკეთებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონების — უკრაინის სსრ, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ასტრახანის, სტალინგრადის ოლქების მეტმა წილმა საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად შეზიდის საწვავი საგაზაფხულო თესვისათვის.

საწვავის შეზიდვა ნელი ტემპით წარმოებს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობებში.

1949 წელს საბჭოთა მეურნეობები ახალი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მნიშვნელოვან რაოდენობას იღებენ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობა ხორციელდება მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად და დასახლოებისათვის. საბჭოთა მეურნეობების მექანიზაციის სკოლებსა და კურსებზე ამჟამად სწავლობს 16,5 ათასი ტრაქტორისტი. საბჭოთა მეურნეობებში მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმე საერთოდ დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ამასთანავე ამ მუშაობის შესრულებაში სერიოზულად ჩამორჩებიან სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ჩელიაბინსკის, კურგანის და ნოვოსიბირსკის ოლქების საბჭოთა მეურნეობები.

მეტმა წილმა საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად უზრუნველყვეს თავიანთი საჭიროება მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესლით 1949 წლის საგაზაფხულო თესვისათვის. თესლის მომზადება სხვებზე უკეთ არის სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ბაზით თესლი მთლიანად გამოყოფილია 31 ოლქს, მხარისა და რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში, მათ შორის უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ, კრასნოდარის მხარეში, როსტოვის, ყირიმის, კალინინგრადის, კემეროვოს, ირკუტსკის, მოსკოვის, სმოლენსკისა და სხვა ოლქებში. თესლის გამოყოფას მალე დაამთავრებენ აზერბაიჯანის სსრ, სტავროპოლის მხარის, ბრიანსკის, ტულისა და ორიოლის ოლქების საბჭოთა მეურნეობები.

ბევრი საბჭოთა მეურნეობა ამჟამად ამთავრებს მოშამთის თესლის გასაწმენდად და მისი სათესი კონდიციურობის უზრუნველსაყოფად. 1949 წლის 1 თებერვლისათვის ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში გაწმენდილია მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესლის 93-94 პროცენტი. გაწმენდილი თესლიდან სათეს კონდიციებს აკმაყოფილებს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში — 73 პროცენტი, დანარჩენი სისტემების საბჭოთა მეურნეობებში — 80-მდე პროცენტს.

მთავრობის დავალების შესაბამისად ბევრმა საბჭოთა მეურნეობამ მთლიანად უზრუნველყო თავისი საჭიროება ჯიშიანი თესლით, რათა 1949 წელს გადავიდეს მთლიანად ჯიშიანი თესლის თესვაზე. ჯიშიანი თესლით სხვებზე უკეთ უზრუნველყოფილი არიან ყირიმის, როსტოვის ოლქების, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, უზბეკეთის სსრ საბჭოთა მეურნეობები. ჯიშიანი თესლით არადამაკმაყოფილებლად არიან უზრუნველყოფილი ურალის, ციმბირის რაიონებისა და ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობები. ამ რაიონების საბჭოთა მეურნეობები საკმაოდ არ იყენებენ მთავრობის მიერ გაწეულ დახმარებას და არ აწყობენ არაორდინალური და არაჯიშიანი თესლის გადაცვლას სახელმწიფო რესურსების ჯიშიან თესლზე. ზღვისპირის, ხაბაროვსკის მხარეების, ტიუმენის, ჩიტის, ჩელიაბინსკის, ნოვოსიბირსკის ოლქების, ყაზახეთის სსრ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობები არსებითად დღემდე არ შესდგომიან თესლის გადაცვლას.

ნათესბალახიანი მინდვრისა და საკვები თესლბრუნვის რაც შეიძლება მალე ათვისების მიზნით საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად უნდა გააფართოონ მრავალწლიანი ბალახების ნათესი. ბევრმა საბჭოთა მეურნეობამ უკვე მთლიანად გამოყო მრავალწლიანი ბალახების თესლი იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს თესვის გეგმის შესრულებას, მათ შორის — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებმა. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში ნათესბალახიანი მინდვრების ფართობი 1949 წელს 1948 წელთან შედარებით გაიზრდება 1,5 მილიონ ჰექტარზე მეტით.

ბევრი საბჭოთა მეურნეობა ცუდად ახორციელებს საზამთრო აგროტექნიკურ ღონისძიებას — თოვლის შეკავებას, ნაკელის შეტანას მინდვრებში და სხვა სახის სასუქის დაგროვებას. ეს მეშამთის განსაკუთრებით ცუდადაა მოწყობილი სარატოვის, ჩელიაბინსკის, ჩკალოვის ოლქების, ალტაის მხარისა და ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობებში.

საგაზაფხულო თესვისათვის საბჭოთა მეურნეობების დროზე და ყოველმხრივად მომზადების უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უმოკლეს ვადაში უნდა განიხილონ თვითეული ტრესტისა და საბჭოთა მეურნეობები თესვისათვის მომზადების მდგომარეობა, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დროზე და კარგი ხარისხით რემონტის უზრუნველსაყოფად, საწვავის შესანახად, მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად, თესვისათვის თესლის დასამზადებლად, მინდვრებში მინერალური სასუქისა და ნაკლის შესატანად. უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო გეგმების შედგენა, აგრეთვე საგაზაფხულო თესვის დაცალება გაეცნოს განყოფილებებს, ბრიგადებსა და რგოლებს და მიენიჭოს ძნელ ბათთვის წარმოების საშუალებანი და მიწის ნაკვეთები. შემუშავდეს ღონისძიებანი ჩამორჩენილი საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის და დახმარება გაეწიოთ მათ საგაზაფხულო თესვის მომზადებასა და ჩატარებაში. აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას ტყის საშელიორაციო ბრიგადების მოწყობის უსწრაფესი დამთავრება, კვალიფიციური კადრებით ძათი დაკომპლექტება, ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით აღჭურვა.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე ერთი თვით ადრე მაინც შეამოწმონ თვითეული საბჭოთა მეურნეობის მზადყოფნა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის საბჭოთა მეურნეობების მზადყოფნის შემოწმების შედეგის შესახებ უნდა შედგეს აქტი სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით, რომელშიც აღინიშნება გამომდინარეობილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ვადები. შემოწმების შედეგი განხილულ უნდა იქნას საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა საწარმოო ტექნიკურ თათბირებზე.

* * *

ამჟამად კოლმეურნეობებში, მტსებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის წარმატებით მომზადება-ჩატარებისა და 1949 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უხვი მოსავლის მიღებისათვის.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა პატრიოტულ აღმავლობას, ფართოდ განვმარტონ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და განვითარების დარგში მათ წინაშე დასახული ამოცანები და დარაზმონ ისინი საგაზაფხულო თესვის მომზადების რაც შეიძლება მალე დასამთავრებლად და წარმატებით ჩასატარებლად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ქ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ № 14. ტირაჟი 118.000 ფე 01212